GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

30 Eylül /სექტემბერი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 704.5	9 141.4	9.4 %	13.9 %	4.6%

01 Ekim 2025 Tarihinden İtibaren Yürürlüğe Girecek Değişiklikler

რა ცვლილებები ამოქმედდება საქართველოში 2025 წლის ოქტომბრიდან

2025 Yılı Ekim Ayından İtibaren Gürcistan'da Yürürlüğe Girecek Yeni Düzenlemeler:

Yabancı uyruklulara yönelik daha sıkı düzenlemeler

1 Ekim 2025'ten itibaren, Gürcistan'da ikamet kurallarını ihlal eden yabancı uyruklulara yönelik yasal düzenlemeler sıkılaştırılacaktır. Ülkeden sınır dışı etme süreci kolaylaştırılacak, ayrıca para cezalarının tutarı artırılacaktır. 180-360 Lari yerine, ülkede kalış süresini ihlal eden yabancılara 1.000-3.000 Lari arasında idari para cezası uygulanacak olup belirli bir süre için Gürcistan'a giriş yasağı getirilecektir.

Bazı araç türlerinde sürücü belgesi alma şartları değişmekte

Çekici ve römorklu taşıtların kullanımına ilişkin sürücü belgesi sınavlarında değişiklik yapılmıştır. Hizmet Ajansı'nın açıklamasına göre, 1 Ekim 2025'ten itibaren CE, DE kategorileri ile C1E ve D1E alt kategorilerine yönelik sürücü belgesi sınavlarının uygulama kısmı iki aşamalı olacaktır.

Bu kapsamda, adaylar ilk aşamayı kapalı alanda, ikinci aşamayı ise İçişleri Bakanı'nın onayıyla belirlenmiş güzergahlar üzerinden gerçek trafik koşullarında gerçekleştirecektir.

Avrupa Birliği'ne giriş-çıkış kuralları değişmekte

Avrupa Birliği'ne giriş ve çıkış kurallarında, Giriş-Çıkış Sistemi (EES)'nin kademeli olarak uygulanması öngörülmektedir. Bu süreç 12 Ekim 2025'te başlayıp altı ay içinde AB üyesi tüm ülkelerin sınır kapılarında hayata geçirilecektir.

EES, AB üyesi olmayan ülkelerin vatandaşlarının 29 Avrupa ülkesine (Schengen bölgesi ve bağlı ülkeler dahil) kısa süreli seyahatlerinde giriş-çıkışlarını dijital olarak kaydeden ileri teknolojik bir sistemdir. Biyometrik veriler (parmak izi, yüz taraması vb.) ve seyahat bilgileri elektronik ortamda toplanarak mevcut pasaport damgalama uygulamasının yerini alacaktır.

Yeni tasarımlı pasaportlar

6 Ekim 2025'ten itibaren Gürcistan vatandaşlarına yeni tasarımlı pasaportların verilmesine başlanacaktır. Bu karar daha önce birkaç kez ertelenmişti. Yeni biyometrik pasaportlarda şu bilgiler yer alacaktır: ad, soyad, vatandaşlık, doğum tarihi, kimlik numarası, fotoğraf, cinsiyet, doğum yeri, imza örneği, düzenlenme tarihi, geçerlilik süresi, düzenleyen kurum, belge türü, ülke kodu, belge numarası ve erişim kodu (CAN – Card Access Number).

Yukarı Lars sınır kapısında elektronik sıra rezervasyon sistemi uygulanacaktır

1 Ekim 2025'ten itibaren, Rusya Federasyonu'nun Kuzey Kafkasya Gümrük Müdürlüğü tarafından Yukarı Lars Sınır Kapısı'nda ağır vasıta araçları için elektronik rezervasyon sistemi devreye alınacaktır.

Sürücüler, taşımacılıkla ilgili elektronik belgelerin devlet bilgi sistemi portalı üzerinden sınır kapısına geliş tarih ve saatini önceden rezerve edebileceklerdir. Sistemin koordinasyonu Rusya Federasyonu Ulaştırma Bakanlığı'na bağlı "Rosgranstroy" kurumu tarafından yürütülecektir.

Yukarı Lars, Gürcistan ile Rusya arasındaki tek faal sınır kapısıdır ve Gürcistan üzerinden Türkiye ile Ermenistan'a yönelen tüm kara taşımacılığı bu noktadan geçmektedir. Bu nedenle sıklıkla uzun kuyruklar oluşmakta, özellikle kış aylarında olumsuz hava koşulları sebebiyle ulaşım durma noktasına gelmektedir. 2022 yılından bu yana kullanılan mevcut elektronik sıra sistemi araçların yalnızca numara almasını ve kuyrukta durumlarını takip etmeyi sağlamakta; ancak sınır geçişi için tarih ve saat rezervasyonu yapmaya imkan tanımamaktaydı.

2025 წლის ოქტომბრიდან, საქართველოში რამდენიმე ახალი რეგულაციის ამოქმედება იგეგმება.

კანონდამრღვევი უცხოელების მიმართ გამკაცრებული რეგულაციები ამოქმედდება

2025 წლის 1-ლი ოქტომბრიდან იმ უცხოელებისთვის, რომელთაც საქართველოში ყოფნის წესები დაარღვიეს, კანონი მკაცრდება. მარტივდება ქვეყნიდან გაძევება და ასევე იზრდება ჯარიმების მოცულობაც.

უფრო კონკრეტულად, 1-ლი ოქტომბრიდან, თუ უცხოელმა დაარღვია ქვეყანაში ყოფნის ვადები, დაეკისრება ჯარიმა 1000-დან 3 000 ლარამდე, ამასთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აეკრძალება საქართველოში შემოსვლა. აღსანიშნავია, რომ მოქმედი რედაქცია ქვეყნიდან გაძევებას არ ითვალისწინებს, ჯარიმის მოცულობა კი 180-დან 360 ლარს შეადგენს. იხილეთ ვრცლად:

გარკვეული სატრანსპორტო საშუალებებისთვის იცვლება მართვის მოწმობის აღების პირობები

მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდებში ცვლილებებია. კერძოდ, როგორც მომსახურების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში საუბარი, 2025 წლის 1-ლი ოქტომბრიდან CE, DE კატეგორიების და C1E, D1E ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდების პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი ხდება.

შესაბამისად, უკვე 1-ლი ოქტომბრიდან, ამ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპს კანდიდატი დახურულ მოედანზე ჩააბარებს, ხოლო გამოცდის მეორე ეტაპი რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო მარშრუტების შესაბამისად ჩატარდება.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

ევროკავშირში შესვლა/გასვლის წესები იცვლება

ევროკავშირში შესვლა/გასვლის წესები იცვლება - საუბარია EES სისტემის დანერგვაზე. როგორც უკვე ცნობილია, შესვლა-გასვლის სისტემის (EES) ოპერაციების ეტაპობრივი დანერგვა 12 ოქტომბრიდან დაიწყება. დათქმული თარიღიდან ევროკავშირის წევრი ქვეყნები შესვლა-გასვლის სისტემას თანდათან, ექვსი თვის ვადაში განახორციელებენ. ექვსი თვის ბოლოს კი EES-ი ევროკავშირის ყველა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე იქნება დანერგილი.

ცნობისთვის, შესვლა-გასვლის სისტემა (EES) არის მოწინავე ტექნოლოგიური სისტემა, რომელიც ციფრულად აღრიცხავს იმ არა-ევროკავშირის მოქალაქეების შესვლას და გასვლას, რომლებიც ევროპის 29 ქვეყანაში, მათ შორის შენგენთან ასოცირებულ ქვეყნებში, მოკლე ვადით მოგზაურობენ, ახალი სისტემა, რომელიც აღრიცხავს ბიომეტრიულ მონაცემებს, მაგ. თითის ანაბეჭდები, სახის გამოსახულება და სხვა სამოგზაურო ინფორმაცია, ეტაპობრივად ჩაანაცვლებს ამჟამად მოქმედ სისტემას, რომელიც პასპორტში შტამპების დასმას გულისხმობს.

დაიწყება ახალი ვიზუალის პასპორტების გაცემა

2025 წლის 6 ოქტომბრიდან დაიწყება ახალი ვიზუალის პასპორტების გაცემა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენჯერმე გადავადდა. კერძოდ, თავდაპირველად დაანონსებული ვერსიით, ახალი დიზაინის დოკუმენტების გაცემა 4 ივნისიდან უნდა დაწყებულიყო, ამის შემდეგ თარიღმა 1-ელ აგვისტომდე გადაიწია, შემდეგ კი - შემოდგომამდე.

რაც შეეხება ახალი დიზაინის საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტს, მათზე უნდა იყოს: სახელი; გვარი; მოქალაქეობა; დაბადების თარიღი; პირადი ნომერი; ფოტოსურათი; სქესი; დაბადების ადგილი; პირადი ხელმოწერის ნიმუში; გაცემის თარიღი; მოქმედების ვადა; გამცემი ორგანოს დასახელება; დოკუმენტის ტიპის შესახებ მითითება; ქვეყნის კოდი; დოკუმენტის ნომერი და წვდომის კოდი (CAN – Card Access Number).

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

ზემო ლარსზე, რუსეთის მხრიდან სატვირთო ავტოტრანსპორტის რიგის წინასწარ ელექტრონული დაჯავშნის სისტემა ამოქმედდება

2025 წლის 1 ოქტომბრიდან რუსეთის საბაჟოს ჩრდილოკავკასიის სამმართველო ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სატვირთო ავტომობილებისთვის ტერმინალთან მისვლის თარიღისა და დროის დაჯავშნის სისტემას აამოქმედებს. კერძოდ, სატვირთოების მძღოლები თარიღისა და დროის დაჯავშნას გადაზიდვის ელექტრონული დოკუმენტების სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის პორტალზე შეძლებენ. ელექტრონული რიგის გამოყენებით ზემო ლარსის გადაკვეთის პროცედურას რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს ქვესაუწყებო დაწესებულება, „როსგრანსტროი“ გაუწევს კოორდინაციას.

ცნობისთვის, ზემო ლარსი რუსეთსა და საქართველოს შორის ერთადერთი მოქმედი საკონტროლო – გამშვები პუნქტია, რომლის გავლითაც გაედინება ორ ქვეყანას შორის, ასევე თურქეთისა და სომხეთის მიმართულებით ყველა სატრანსპორტო ნაკადი, რაც ხშირად რიგების წარმოქმნას იწვევს. სიტუაციას ართულებს არასასურველი ამინდის პირობები, რის გამოც, განსაკუთრებით ზამთარში მოძრაობა ხშირად შეჩერებულია.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის აგვისტოდან ზემო ლარსზე ელექტრონული რიგის ანალოგი ფუნქციონირებს, რომელიც საშუალებას იძლევა გადამზიდავისგან მიიღოს მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების რიგითი ნომერი და თვალყური ადევნოს მათ დაგროვება – გაწოვას, თუმცა საზღვრის გადაკვეთის დროის წინასწარ დაჯავშნის შესაძლებლობას არ იძლევა.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

Gürcistan, Türkiye'ye Yeni Otoyolla Bağlanacak – Batum–Sarp Yolunun İnşaatı İçin Kamulaştırmalara 114 Milyon ₾ Ayrıldı

საქართველო თურქეთს ახალი მაგისტრალით დაუკავშირდება - ბათუმი-სარფის ახალი გზის მშენებლობისთვის მიწების გამოსყიდვაზე 114 მლნ ლარამდე დაიხარჯება

Batum–Sarp 11.3 kilometrelik yeni otoyolun inşası için yapılacak kamulaştırma ve tazminat harcamalarının toplam tutarı 113 990 981 GEL olarak belirlendi. Asya Kalkınma Bankası'nın (ADB) arazi edinimi ve yeniden yerleşim planına göre, bu miktardan 61 410 383 Lari'si arazi kamulaştırmalarına, 44 630 671 Lari ise yapıların satın alınmasına ayrıldı.

Projeye göre, yol güzergahında özel mülkiyete ait 117 arsa, 9 konut, 10 daire/iş yeri, 27 ticari/idari bina ve 37 yardımcı yapı bulunmaktadır. Ayrıca, toplam 114 milyon Lari'den 5 117 782 Larisi işletmelere yönelik tazminat için, 187 494 Larisi kira tazminatına, kalan tutar ise diğer gider ve tazminatlara tahsis edildi. Bunun yanında, öngörülmeyen giderler için ilave 22 798 196 GEL ayrıldı.

Projeyi Gürcistan Karayolları Departmanı, Asya Kalkınma Bankası'nın kredi desteğiyle yüütmektedir. Otoyolun toplam maliyetinin 360 milyon ABD doları olacağı bildirildi. Bu kapsamda Karayolları Departmanı, geçtiğimiz Ağustos ayında Batum–Sarp çevre yolu inşaatının denetimi için uluslararası ihale ilan etti. Yaklaşık 13 986 483 ABD doları değerindeki denetim hizmetinin süresi 48 ay olarak belirlendi. Başvurular için son tarih başlangıçta 22 Eylül 2025 iken, daha sonra 6 Ekim'e kadar uzatıldı.

Yeni otoyol, mevcut sahil yolunun yerine geçerek Gürcistan'ı Türkiye'ye bağlayacak. Batum Belediyesi sınırlarında, Çoruh Nehri'nin sağ kıyısından başlayacak olan yol, Khelvachauri Belediyesi'nin Sarpi köyünde, Türkiye sınırına yakın bir noktada son bulacak. 11.3 kilometrelik yeni güzergahın en önemli bölümü, yerleşim alanlarını bypass edecek 7.6 kilometrelik çift şeritli tünel olacak. Yolun toplam genişliği 7.5 metre, yüksekliği ise 5 metre olarak planlandı.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Proje kapsamında, yolun başlangıcında dört şeritli bir kavşak, Çoruh Nehri üzerinde iki şeritli bir köprü ve 7,6 kilometre uzunluğunda çift şeritli bir tünel inşa edilecek. Ayrıca, güney portalından sonra mevcut yola bağlanan dört şeritli bir kesim yapılacak. Bu altyapı, her iki yönde akan araç trafiğine hizmet edecek. Yolun başlangıcında, Batum Havalimanı ve Gonio yönüne bağlantı sağlayacak bir kavşak da planlanmaktadır. Bu kavşak, Batum çevre yolundan havalimanı civarındaki gümrük noktasına doğru araç akışını yönlendirecek.

Proje güzergahı, Çoruh Nehri'nin sağ kıyısından, Batum çevre yolunun kavşağından başlayarak, 1.471 metre uzunluğunda bir köprü ile Tkhilnari köyü sınırlarını geçmekte. Köprüyü takiben, Charnali köyü yakınlarında başlayan tünel, Charnali ve Akhalsopeli köylerinden geçerek Sarpi bölgesine ulaşıyor. Tünel portalının son bölümünde, Kvariati'den giriş sağlayacak 60 metre uzunluğunda bir köprü inşa edilecek. Yolun bu kesimi, Sarpi köyüne varan mevcut çift şeritli yola bağlanarak tamamlanacaktır.

ბათუმი-სარფის 11.3-კილომეტრიანი ახალი მაგისტრალის მშენებლობისთვის მიწების გამოსყიდვასა და კომპენსაციებზე ჯამურად 113 990 981 ლარი დაიხარჯება.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის მიხედვით, ამ თანხიდან 61 410 383 ლარი გამოყოფილია უშუალოდ მიწების კომპენსირებისთვის, 44 630 671 ლარი კი შენობა-ნაგებობების გამოსყიდვის მიზნით.

პროექტის მიხედვით, გზის განთავსების ზოლში მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებული 117 მიწის ნაკვეთი, 9 საცხოვრებელი სახლი, 10 ბინა/არასაცხოვრებელი ფართობი, 27 კომერციული/ადმინისტრაციული შენობა და 37 დამხმარე ნაგებობა.

ამასთან, 114 მილიონი ლარიდან ბიზნესის კომპენსაციებისთვის გათვალისწინებულია 5 117 782 ლარი, იჯარის კომპენსირებაზე 187 494 ლარი, დარჩენილი თანხა კი სხვა ხარჯებსა და კომპენსაციებზეა გათვლილი.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI საქართველოს ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

აღსანიშნავია, რომ გარდა 114 მილიონი ლარისა, ADB-ს გეგმის თანახმად, გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის გამოყოფილია 22 798 196 ლარი.რაც შეეხება უშუალოდ პროექტს, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ბათუმი-სარფის ახალი მაგისტრალის მშენებლობას აზიის განვითარების ბანკის სასესხო დახმარებით ახორციელებს. ცნობისთვის, მაგისტრალის მშენებლობა ჯამში, 360 მილიონი დოლარი დაჯდება.

ინფორმაციისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ბათუმი-სარფის შემოვლითი მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობაზე საერთაშორისო ტენდერი აგვისტოში გამოაცხადა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 13 986 483 დოლარს შეადგენდა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ზედამხედველობის მომსახურების ვადა 48 თვეა. დაინტერესებულ კომპანიებს წინადადებები არაუგვიანეს 2025 წლის 22 სექტემბრისა უნდა წარედგინათ, თუმცა გზების დეპარტამენტის მიერ 16 სექტემბერს გამოქვეყნებული განაცხადის მიხედვით, წინადადებების წარდგენის ვადა 6 ოქტომბრამდე გახანგრძლივდა.

როგორც ცნობილია, საქართველო თურქეთს ახალი მაგისტრალით დაუკავშირდება. ზღვის სანაპიროს მომიჯნავედ არსებული გზა ჩანაცვლდება ახალი ასფალტ ბეტონის 11.3 კილომეტრის სიგრძის გზით, რომელიც ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროდან დაიწყება და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ სარფის ტერიტორიაზე, საქართველოსა და თურქეთის საზღვრის სიახლოვეს დასრულდება.

აღნიშნულ მონაკვეთზე მოეწყობა 2-ზოლიანი გვირაბი და ხიდები. პროექტის მიხედვით, 10.2 კმ სიგრძის მონაკვეთზე დაგეგმილია ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხოლო სარფის ზონაში, წმინდა ანდრიას ძეგლთან, ბოლო 800 მეტრზე დაემთხვევა არსებულ გზას. ახალი მაგისტრალის მთავარი მონაკვეთი იქნება 7.6-კილომეტრიანი გვირაბი, რომელიც დასახლებულ პუნქტებს გვერდს აუქცევს. გვირაბი ორზოლიანი იქნება, სავალი ნაწილი 7.5 მ, სიმაღლე კი 5 მეტრის იქნება.

დაგეგმილია ოთხზოლიანი კვანძის მოწყობა გზის დასაწყისში, ორზოლიანი ხიდის მშენებლობა მდინარე ჭოროხზე, ორზოლიანი გვირაბის მშენებლობა და ოთხზოლიანი მონაკვეთის მშენებლობა სამხრეთი პორტალის შემდეგ არსებულ გზასთან შეერთების ზონაში. ინფრასტრუქტურა მოემსახურება ორივე მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო ნაკადებს. გზის დასაწყისში დაგეგმილია ბათუმის აეროპორტისკენ და გონიოსკენ საპროექტო გზის დასაკავშირებლად კვანძის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ბათუმის შემოვლითი გზიდან აეროპორტის მიმდებარე ზონაში არსებულ საბაჟოსკენ სატრანსპორტო ნაკადის გატარებას.

დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო გზა იწყება მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ბათუმის შემოვლითი გზის კვანძიდან და 1 471 მ. სიგრძის ხიდით სოფელ თხილნარის ადმინისტრაციულ საზღვრებში კვეთს მდინარე ჭოროხს. ხიდის შემდეგ, სოფელ ჭარნალთან საპროექტო გზის დერეფანი გრძელდება დაახლოებით 7.6 კმ სიგრძის გვირაბით, რომელიც გადის სოფელ ჭარნალისა და სოფელ ახალსოფლის ტერიტორიებზე სარფის ზონამდე. ბოლო მონაკვეთზე, გვირაბის პორტალთან დაგეგმილია კვარიათიდან შემოსასვლელი პანდუსის შემადგენლობაში 60 მ. სიგრძის ხიდის მოწყობა. საპროექტო გზის მონაკვეთი დასრულდება სოფელ სარფის შესასვლელთან, სადაც დაუკავშირდება არსებულ ორზოლიან გზას.

Türkiye'de Uluslararası Karayolu Taşımacılığı Denetimlerine İlişkin Yeni Düzenlemeler Yürürlüğe Girdi

თურქეთში საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ინსპექტირების ახალი რეგულაციები ამოქმედდა

Türkiye Cumhuriyeti Ulaştırma ve Altyapı Bakanlığının açıklamasına göre, 2025 yılının Ekim ayından itibaren Türkiye topraklarında uluslararası karayolu taşımacılığının denetlenmesine dair yeni prosedürler yürürlüğe girdi.

Taşımacılık Koridoru Araştırma Merkezi, Türkiye'de hayata geçirilen bu değişikliklerle ilgili olarak Gürcü sürücülerin dikkate alması gereken tavsiyeleri yayımladı.

"Bugüne kadar yabancı taşıyıcıların – izinlerin, ECMT lisanslarının ve diğer eşlik eden belgelerin – kontrolü esasen sınır kapılarında yapılıyordu. Yeni düzenlemelerle birlikte denetimler artık Türkiye topraklarındaki yollarda da yapılabilecek ve tespit edilen her türlü ihlal için idari para cezaları uygulanacak.

Yeni mekanizmanın amacı, sınır kapılarındaki kuyrukları azaltmak, prosedürleri hızlandırmak ve uluslararası taşımacılık kurallarına uyumu sağlamaktır."

Yolculuk sırasında sürücüler aşağıdaki yükümlülüklere uymak zorundadır:

- Her türlü izin ve lisansın (orijinalleri veya doğrulanabilir elektronik versiyonları) aracın içinde bulundurulması ve yolculuğun tamamlanmasına kadar saklanması
- Elektronik izinler/lisanslar doğrulanmış (verifiye edilmiş) olmalıdır. Sınırda ibraz edildikten sonra da orijinal belgeler yolculuk bitene kadar muhafaza edilmelidir
- Bazı durumlarda ECMT izinlerinin ülkeye girişte başka bir taşıyıcıya devredildiği tespit edilmiştir; bu izinler aracın yolculuk tamamlanıncaya kadar üzerinde kalmalıdır
- Yan belgeler (sefer defteri, ECMT teknik muayene belgeleri vb.) aracın içinde bulunmalı ve denetim için erişilebilir olmalıdır
- Şirketin/taşıtın kayıt numarasının belgelerde belirtilmesi zorunludur. İzinlerde şirket kaydının veya plaka numarasının yer almaması ya da başka bir araca devredilmesi ihlal olarak kabul edilir
- İzinlerin taşıyıcıya uygunluğunun sağlanması gerekmektedir. İzin şirketin adına düzenlenmiş olmalı ve izin sahibi ile kullanıcı arasında geçerli bir anlaşma bulunmalıdır
- İzin olmadan ülkeyi terk etmek yasaktır. Bu durumda taşıyıcı yeni izin almak veya Türkiye Ulaştırma Bakanlığının belirlediği ücreti ödemekle yükümlüdür.
- Özel izin gerektiren taşımanın, izin alınmadan yapılması halinde cezai yaptırımlar uygulanacaktır

Türkiye Ulaştırma Bakanlığının açıklamasına göre, son yıllarda ECMT lisanslarının kullanımında çeşitli ihlaller kaydedilmiştir. Bunlar arasında kamyonların değiştirilmesi, lisansların başka araçlara devredilmesi ve uluslararası anlaşma şartlarına uyulmaması yer almaktadır.

Türkiye üzerinden transit geçişlerde ceza ve gecikmelerin önlenmesi için, yabancı şirketlere belgelerini önceden düzenli hale getirmeleri ve kontrol etmeleri önemle tavsiye edilmektedir.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2025 წლის ოქტომბრიდან თურქეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შემოწმების ახალი პროცედურები ამოქმედდა.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრი თურქეთში ამოქმედებულ ცვლილებებთან დაკავშირებით იმ რეკომენდაციებს ავრცელებს, რომელიც ქართველმა მძღოლებმა უნდა გაითვალისწინონ.

"თუ დღემდე უცხოელი გადამზიდავების – მათ შორის ნებართვების, ECMT ლიცენზიების და სხვა თანმხლები დოკუმენტების – კონტროლი ძირითადად სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ხორციელდებოდა, ახალი რეგულაციებით ინსპექტირება თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ გზებზეც იქნება შესაძლებელი და ნებისმიერი გამოვლენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციული ჯარიმებია გათვალისწინებული.

რეგულაციების ახალი მექანიზმის დანერგვის მიზანია საზღვრებზე რიგების განმუხტვა, პროცედურების დაჩქარება და საერთაშორისო სატრანსპორტო რეგულაციების დაცვის უზრუნველყოფა.

მოძრაობისას, მძღოლები მკაცრად ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი მოთხოვნები:

- ნებისმიერი სახის ნებართვების და ლიცენზიების ხელმისაწვდომობა – ორიგინალები (ან შემოწმების შესაძლებლობით ელექტრონული ვერსია) სატრანსპორტო საშუალების ბორტზე ტვირთის ტრანსპორტირების დასრულებამდე უნდა ინახებოდეს
- ელექტრონული ნებართვები/ლიცენზიები უნდა იყოს დამოწმებული (ვერიფიცირებული). საზღვარზე ნებართვის/ლიცენზიის წარმოდგენის შემდეგ გადამზიდავები ვალდებულნი არიან შეინახონ ორიგინალი გადაზიდვების დასრულებამდე
- დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ECMT ნებართვები გადაეცემა სხვა გადამზიდავს ქვეყანაში შესვლისთანავე და არა ტვირთის დასრულების ადგილამდე მიჰყვება სატრანსპორტო საშუალებას
- თანმხლები დოკუმენტების ბორტზე არსებობა – (საბორტო ჟურნალი, ტექნიკური შემოწმება ECMT-ს და ა.შ.) სატრანსპორტო სამსახურებისათვის შემოწმებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.კომპანიის/სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის მითითების აუცილებლობა – ნებართვაზე

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

კომპანიის რეგისტრაციისა და სანომრე ნიშნის მიუთითებლობა ან მისი სხვა სატრანსპორტო საშუალებისთვის გადაცემა სამართალდარღვევად ითვლება

- ნებართვის გადამზიდავზე შესაბამისობის უზრუნველყოფა – ნებართვა უნდა იყოს კომპანიის სახელზე გაცემული და უნდა არსებობდეს მფლობელსა და მომხმარებელს შორის მოქმედი შეთანხმება.იკრძალება ნებართვის გარეშე ქვეყნის დატოვება – ამ შემთხვევაში გადამზიდავი ვალდებულია მიიღოს ახალი ნებართვა ან გადაიხადოს თურქეთის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული საფასური
- სპეციალური ნებართვის გარეშე გადაზიდვები დაჯარიმებას ექვემდებარება – გადაზიდვა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, მაგრამ მის გარეშე ხორციელდება, გამოიწვევს ჯარიმებს

თურქეთის ტრანსპორტის სამინისტროს ცნობით, ბოლო წლებში დაფიქსირდა ECMT ლიცენზიების გამოყენებასთან დაკავშირებული დარღვევები, მათ შორის სატვირთო მანქანების ჩანაცვლება, ლიცენზიების სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე გადაცემა და საერთაშორისო ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა.

თურქეთის გავლით ტრანზიტის დროს ჯარიმებისა და შეფერხებების თავიდან ასაცილებლად, უცხოურ კომპანიებს მკაცრად ურჩევენ, წინასწარ წესრიგში მოიყვანონ და შეამოწმონ დოკუმენტაცია.

“Enterprise Georgia” Girişmcilik Programı Kapsamında Bir Yıl İçinde 60 Milyon ₾ Tutarında Kredi Onaylandı

"აწარმოე საქართველოში"-ს მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ერთ წელიწადში ₾60 მლნ-ის სესხი დამტკიცდა



Ekonomi Bakanlığı’nın verilerine göre, “Enterprise Georgia” programının mikrogirişimciliği destekleme bileşeni çerçevesinde geçtiğimiz bir yıl içinde 1.200’den fazla kredi onaylandı. Kredilerin toplam tutarı yaklaşık 60 milyon Gürcü Larisi’ne ulaştı.

Bakanlığın yıllık sonuç raporunda, söz konusu yatırımlar sayesinde ilave 2.643 yeni istihdamın yaratıldığı da kaydedildi.

აწარმოე საქართველოში

Program kapsamında özellikle dağlık bölgelerde yaşayan girişimciler, kadın girişimciler ve iş hayatına yeni başlayanlar özel avantajlardan yararlanabilmekte. Yeni sistemle birlikte yararlanıcılara; kredi faizinin tamamının veya bir kısmının karşılanması, kredi sürecinde %80 oranında garanti sağlanması ve 25.000 Lari’ye kadar danışmanlık hizmetlerinin ortak finansmanla sunulması imkanı verilir. Belirlenen kriterleri karşılayan ve yıllık geliri 500.000 GEL’i aşmayan herkes programa katılabilir. Destek süresi en fazla 5 yıl, kredi tutarı ise 20.000 - 50.000 ₾ arasında değişmekte.

Ekonomi Bakanlığı’na göre, mikrogirişimciliği desteklemeye yönelik bu yeni mekanizma, ajansın danışmanlık merkezleri aracılığıyla sunulan hizmet paketinin finansal açıdan güçlendirilmiş bir parçası olarak girişimcilere mevcut işlerini geliştirme veya yeni bir iş kurma fırsatı sağlar.

ერთ წელიწადში "აწარმოე საქართველოშის" მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 1200-ზე მეტი სესხი დამტკიცდა, რომლის ჯამური მოცულობა 60 მლნ ლარამდეა. ამის შესახებ ეკონომიკის სამინისტრო „აწარმოე საქართველოში“ მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის წლიურ შედეგებშია აღნიშნული.

სამინისტროს ინფორმაციით, გარდა ამისა, განხორციელებული ინვესტიციით დამატებით 2 643 სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობენ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მეწარმეები, ქალი მეწარმეები და დამწყები მეწარმეები.

ახალი პროგრამით ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ სესხის პროცენტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება სააგენტოს პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებში, სესხის აღების პროცესში 80%-იანი გარანტია და წვდომა საკონსულტაციო სერვისებზე 25 000 ლარამდე თანადაფინანსებით. არსებული

კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ, პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისი შემოსავალიც არ აღემატება 500 000 ლარს. მხარდაჭერის პერიოდი მაქსიმუმ 5 წელია, სესხის ოდენობა კი 20 000-დან 50 000 ლარამდე.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ახალი პროგრამა სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრების მომსახურების პაკეტის ახალი ფინანსური მექანიზმია. იგი ეხმარება ნებისმიერ მსურველს განავითაროს უკვე არსებული ბიზნესი, ან დაიწყოს ახალი საქმიანობა.

Orta Koridor İçin 15 Yıllık Finansman İhtiyacı – Dünya Bankası Değerlendirmesi

რა თანხა დასჭირდება შუა დერეფანს 15 წლის განმავლობაში - მსოფლიო ბანკის შეფასება

Dünya Bankası'nın Güney Kafkasya Bölge Direktörü Rolande Pryce'in açıklamasına göre, Orta Koridor'un altyapı yatırımları önümüzdeki 15 yıl boyunca yaklaşık 28 milyar ABD doları olarak değerlendirilmektedir. Bu miktarın 25 milyar doları demiryolu yatırımları için, 1.8 milyar doları ise limanların genişletilmesi ve modernizasyonu için öngörülmekte.

Pryce, farklı ulaşım türlerinin birbirine bağlandığı "dar alanlarda", yani denizden demiryoluna ve demiryolundan otoyola geçişlerde yaşanan tıkanıklıkların giderilmesi gerekttiğini vurguladı.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Ayrıca, koridorun geçtiği birden çok ülke nedeniyle dijitalleşme, prosedürler ve düzenlemelerde uyumlu yaklaşımların kritik bir önem taşıdığını da belirtti.

Orta Koridor, Hazar Denizi üzerinden Çin, Kazakistan, Azerbaycan, Gürcistan, Türkiye ve Avrupa ülkelerini birbirine bağlamaktadır. 2024'te Çin'den Orta Koridor üzerinden taşınan yük miktarı, 2023'e kıyasla 25 kat artarak 27 bin konteyneri aştı. Bu dönemde yük taşımacılığı %62 artışla 4.5 milyon tona ulaştı ve bu yıl 5.2 milyon ton civarında bir artış öngörülmektedir. Taşınan miktarın 4.2 milyon tonu koridor ülkelerinden, özellikle Gürcistan üzerinden geçecek. Bunun 2.5 milyon tonu (96 bin TEU eşdeğeri) kuru yük, 1.7 milyon tonu ise petrol olacak.

Orta Koridor üzerinden Çin'den Türkiye'ye Çin-Avrupa yük trenlerinin sevkiyat süresi 15 güne indi. 2027 itibarıyla koridorun yıllık taşıma kapasitesinin 10 milyon tona ulaşması beklenmektedir.

მსოფლიო ბანკი მომდევნო 15 წლის განმავლობაში შუა დერეფნის ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს 28 მლრდ დოლარად აფასებს.
ამის შესახებ სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა, როლანდ პრაისმა განაცხადა. მისი თქმით, ამ თანხიდან 25 მლრდ დოლარი რკინიგზისთვის, ხოლო პორტების გაფართოება-მოდერნიზაციისთვის 1.8 მლრდ დოლარი იქნება საჭირო.
პრაისი ხაზგასმით ამბობს, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების ერთმანეთთან დაკავშირების "ვიწრო" ადგილებზე, ანუ ზღვიდან რკინიგზაზე და რკინიგზიდან ავტომაგისტრალზე გადასვლისას შეფერხებებია და ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.
„კიდევ ერთი კრიტიკული ასპექტი მრავალი ქვეყანაა, რომლებზეც დერეფანი გადის. უმნიშვნელოვანესია ჰარმონიზებული მიდგომების პოვნა დიჯიტალიზაციის, პროცედურებისა და რეგულირების მიმართ, რომ დერეფანში გადაადგილება მაქსიმალურად შეუფერხებელი იყოს," - აცხადებს პრაისი.
ცნობისთვის: ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, იგივე შუა დერეფანი კასპიის ზღვაზე გადის და ჩინეთს, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქეთსა და ევროპის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს. 2024 წელს ჩინეთიდან შუა დერეფნით გადაზიდული საქონლის მოცულობა, 2023 წელთან შედარებით, 25-ჯერ

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

მეტად გაიზარდა და 27 ათას კონტეინერს გადააჭარბა. კერძოდ, სატვირთო გადაზიდვების მოცულობა 62%-ით გაიზარდა და 4.5 მლნ ტონას მიაღწია. წელს უფრო მეტად, 5.2 მლნ ტონამდე ზრდა არის პროგნოზირებული, საიდანაც 4.2 მლნ ტონა მარშრუტში მონაწილე ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზე გაივლის. ამ მოცულობიდან 2.5 მლნ ტონა (96 ათასი TEU-ს ექვივალენტური) მშრალი ტვირთი, ხოლო 1.7 მლნ ტონა ნავთობია.

ჩინეთიდან თურქეთში შუა დერეფნის მარშრუტით ჩინეთ-ევროპის სატვირთო მატარებლების მიწოდების დრო 15 დღემდე შემცირდა.

2027 წლისთვის მარშრუტის გამტარუნარიანობამ შესაძლოა, წელიწადში 10 მლნ ტონას მიაღწიოს.

İthalat Yıllık %5.2 Oranında Arttı - G&T

იმპორტი წლიურად 5.2%-ით გაიზარდა - G&T

Galt & Taggart'ın piyasa haftalık raporuna göre, 2025'in ilk sekiz ayında, resim ve tabloların tek seferlik ithalatı hariç ithalat yıllık bazda %5.2 oranında artış göstermiştir. Yatırım bankası değerlendirmelerinde, Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi'nin (Geostat) resmi verilerine dayanmaktadır. Raporda, 2025 yılı Ağustos ayında mal ihracatının yıllık bazda %5.9 azalarak 603.0 milyon ABD dolarına gerilediği, bir önceki ayda ise %10.8'lik düşüş kaydedildiği belirtildi. Aynı dönemde ithalat yıllık %6.9 düşüşle 1.4 milyar ABD doları teşkil etmiştir. (Temmuz: YY -%3.6). Bu gelişmeler sonucunda, Ağustos ayı dış ticaret açığı %7.7 azalarak 752.4 milyon ABD dolarına düştü.

Ağustos ayında en çok ihraç edilen beş ürün; makineler (YY -%12.6), değerli metaller (YY +%18.0), ferroalaşımlar (YY +%63.2), alkollü içecekler (YY -%4.5) ve şarap (YY -%9.5) oldu. İhracatın %12.4'ü Avrupa Birliği ülkelerine (YY +%58.2), %73.0'ü BDT ülkelerine (YY -%8.7) ve %14.6'sı diğer ülkelere (YY -%21.0) yöneldi.

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI ᲘᲛᲔᲜᲔᲚᲘ İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Tepe Akfen TAV Airports Wasteless Specific waste management Ziraat Bankası

Aynı ayda ithalatın ilk beş kalemi; makineler (YY -%30.4), petrol (YY +%7.0), ilaçlar (YY +%14.5), telefonlar (YY -%7.2) ve doğal gaz (YY -%1.6) olarak kaydedildi.

2025 Ocak–Ağustos döneminde dış ticaret açığı yıllık bazda %11.5 artarak 7.4 milyar ABD dolarına yükseldi. Bu dönemde ihracat %6.7 artışla 4.4 milyar ABD dolarına, ithalat ise %9.7 artışla 11.8 milyar ABD dolarına ulaştı. Ancak resim/tabloların tek seferlik ithalatı hariç, toplam ithalat %5.2, dış ticaret açığı ise %4.2 oranında artış gösterdi.

Galt & Taggart-ის ბაზრის ყოველკვირეული მიმოხილვის მიხედვით, 8 თვეში, სურათების/ნახატების ერთჯერადი იმპორტის გამორიცხვით, იმპორტი წლიურად 5.2%-ით გაიზარდა.

საინვესტიციო ბანკი საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა. მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 2025 წლის აგვისტოში საქონლის ექსპორტი წლიურად 5.9%-ით შემცირდა 603.0 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 10.8%-იანი კლების შემდეგ. ასევე, საქონლის იმპორტი წლიურად 6.9%-ით შემცირდა და 1.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (-3.6% წ/წ წინა თვეში). შედეგად, აგვისტოში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 7.7%-ით შემცირდა 752.4 მლნ აშშ დოლარამდე.

2025 წლის აგვისტოში მანქანები (-12.6% წ/წ), ძვირფასი ლითონები (+18.0% წ/წ), ფეროშენადნობები (+63.2% წ/წ), სპირტიანი სასმელები (-4.5% წ/წ) და ღვინო (-9.5% წ/წ) იყო ტოპ-5 ექსპორტირებული საქონელი. ამასთან, ექსპორტის 12.4% ევროკავშირზე მოდიოდა (+58.2% წ/წ), 73.0% დსთ-ზე (-8.7% წ/წ) და 14.6% სხვა ქვეყნებზე (-21.0% წ/წ).

2025 წლის აგვისტოში ტოპ-5 იმპორტირებული საქონელი იყო მანქანები (-30.4% წ/წ), ნავთობი (+7.0% წ/წ), მედიკამენტები (+14.5% წ/წ), ტელეფონები (-7.2% y/y) წ/წ) და გაზი (-1.6% წ/წ).

ჯამურად, 2025 წლის იანვარ-აგვისტოში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 11.5%-ით გაიზარდა და 7.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 6.7%-ით გაიზარდა 4.4 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 9.7%-ით გაიზარდა და 11.8 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ამასთან, სურათების/ნახატების ერთჯერადი იმპორტის გამორიცხვით, მთლიანი იმპორტი წლიურად 5.2%-ით, ხოლო სავაჭრო დეფიციტი წლიურად 4.2%-ით გაიზარდა 2025 წლის იანვარ-აგვისტოში.

Gürcistan'ın Tekstil Ticareti

თურქეთი, ჩინეთი, ესპანეთი - სად ყიდულობს და ყიდის საქართველო ტანსაცმელს

Gürcistan'da tekstil ürünleri ithalatı artarken, yerli ihracat düşüş gösterdi. Ulusal İstatistik Ofisi'nin verilerine göre, 2025 yılı Ocak–Ağustos döneminde ülkeye 428.2 milyon ABD doları değerinde hazır giyim ve tekstil ürünü ithal edilirken, bir önceki yılın aynı döneminde bu rakam 420 milyon ABD doları teşkil etmiştir.

2025'in aynı döneminde tekstil ihracatı 129.671 milyon ABD dolarından 109.778 milyon ABD dolarına gerilerek ihracatta düşüş gözlendi.

Gürcistan'a ithal edilen tekstil ürünlerinin üçte birinden fazlası Türk menşeli. İlk sekiz ayda ülke, komşu Türkiye'den 158.7 milyon ABD doları değerinde tekstil ürünü satın aldı. Türkiye'yi Çin (94.965 milyon ABD doları) ve İspanya (45.236 milyon ABD doları) takip etmekte. Dördüncü sırada İtalya (25.248 milyon ABD doları) ve beşinci sırada Almanya (9.379 milyon ABD doları) yer aldı.

Yerel ihracatta ise başı yine Türkiye çekmektedir.

En büyük beş ihracat pazarı aşağıdaki gibidir:

- Türkiye: 81.357 milyon ABD doları
- Polonya: 7.747 milyon ABD doları
- Çekya: 3.094 milyon ABD doları
- Bulgaristan: 2.873 milyon ABD doları
- Rusya: 2.462 milyon ABD doları

ARKAS EFES GEORGIA K.777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Ziraat Bankası

Bu veriler, Gürcistan'ın tekstil ticaretinde Türkiye'nin hem ihracat hem de ithalatta en önemli ortak olduğunu ortaya koyuyor.

საქართველოში ტექსტილის ნაწარმის იმპორტი გაიზარდა, ადგილობრივი ექსპორტი კი შემცირდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლის იანვარ-აგვისტოში ქვეყანაში 428.2 მლნ დოლარის ღირებულების ტანსაცმელი (ტექსტილის ნაწარმი) შემოვიდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 420 მლნ დოლარის. რაც შეეხება ექსპორტს, ეს მაჩვენებელი 129.671 მლნ დოლარიდან 109.778 მლნ დოლარამდე შემცირდა.

საქსტატის მონაცემებით, ტანსაცმლის (ტექსტილის ნაწარმის) მესამედზე მეტი თურქეთიდან შემოდის. უფრო კონკრეტულად, 2025 წლის პირველ 8 თვეში საქართველომ მეზობელი ქვეყნიდან 158.7 მლნ დოლარის ტექსტილი შეიძინა. თურქეთის შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობით ტანსაცმელი ჩინეთიდან შემოვიდა - 94.965 მლნ დოლარის, უმსხვილესი იმპორტიორების სამეულს ესპანეთი ხურავს - 45.236 მლნ დოლარით. მეოთხე ადგილს იტალია იკავებს 25.248 მლნ-ით, ხოლო მეხუთეს გერმანია - 9.379 მლნ დოლარით.

რაც შეეხება ადგილობრივ ექსპორტს, პირველ ადგილზე აქაც თურქეთია.

ხუთეული კი ასე გამოიყურება:

- თურქეთი - 81.357 მლნ დოლარი
- პოლონეთი - 7.747 მლნ დოლარი
- ჩეხეთი - 3.094 მლნ დოლარი
- ბულგარეთი - 2.873 მლნ დოლარი
- რუსეთი - 2.462 მლნ დოლარი.

Gürcistan'dan Tavuk Eti İhracatı Artış Gösterdi

საქართველოდან ფრინველის ხორცის ექსპორტი გაიზარდა

Gürcistan'ın tavuk eti ihracatı bu yıl Ocak–Ağustos döneminde %19 artış gösterdi. Ulusal İstatistik Ofisi'nin verilerine göre, bu dönemde 3 371 ton (6.354 milyon ABD doları) yerli ürün ihraç edilirken, geçen yılın aynı döneminde 2 833 ton (4.714 milyon ABD doları) ihraç edilmişti.

İhracatın büyük kısmı, başta Ermenistan ve Azerbaycan olmak üzere komşu ülkelere gerçekleştirildi. Ocak–Ağustos 2025 döneminde tavuk eti ihracatında ilk beş ülke şu şekildedir:

- Ermenistan: 1 714 ton (2.906 milyon ABD doları)
- Azerbaycan: 1 445 ton (3.289 milyon ABD doları)
- Liberya: 168.9 ton (126.4 bin ABD doları)
- Sierra Leone: 21.6 ton (16.2 bin ABD doları)
- Gine: 21.3 ton (16 bin ABD doları)

Gürcistan Kanatlı Hayvancılığı Derneği Başkanı Zurab Uchumbegashvili, ülkede bütün tavuklara olan talebin azalmasının ihracattaki artışı tetiklediğini belirtiyor. Uchumbegashvili'ye göre, yerli talep daha çok parça tavuk ürünlerine yöneldi; bu nedenle bazı üreticiler bütün tavukları ihraç etmeyi tercih etti.

Uchumbegashvili, şöyle bir açıklamada bulundu: "Üretim artmadı, ancak bir süre boyunca bütün tavuk tüketimi azaldı ve talep parçalanmış ürünlere kaydı. Daha önce bütün tavuklar satılırken, şimdi göğüs, but ve kanat gibi parçalar daha çok talep görüyor. Bu durum, bütün tavuk etinin fiyatını maliyetin altına düşürdü. Bu nedenle, parçalanmış ürünle talebi karşılayamayan bazı üreticiler, bütün tavukları ihracata yönlendirdi. Görünüşe göre, komşu ülkelerde durum farklı".

ფრინველის ხორცის ექსპორტი 19%-ით გაიზარდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წელს იანვარ-აგვისტოში საქართველოდან 3 371 ტონა (6.354 მლნ აშშ დოლარის) ადგილობრივი პროდუქტი გავიდა, წინა წლის იგივე პერიოდში 2 833 ტონა (4.714 მლნ აშშ დოლარის).

ამასთან, საქსტატის მიხედვით, წელს საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ფრინველის ხორცი საქართველოდან სომხეთსა და აზერბაიჯანში გაიგზავნა.

უფრო კონკრეტულად, წელს იანვარ-აგვისტოში ფრინველის ხორცის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება:

- სომხეთი - 1 714 ტონა (2.906 მლნ აშშ დოლარი)
- აზერბაიჯანი - 1 445 ტონა (3.289 მლნ აშშ დოლარი)
- ლიბერია - 168.9 ტონა (126.4 ათასი აშშ დოლარი)
- სიერა-ლეონე - 21.6 ტონა (16.2 ათასი აშშ დოლარი)
- გვინეა - 21.3 ტონა (16 ათასი აშშ დოლარი)

მეფრინველეობის ასოციაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ საქართველოში მთლიანი ქათმის ხორცზე მოთხოვნის შემცირებამ გამოიწვია საქართველოდან პროდუქციის ექსპორტის ზრდა. როგორც ზურაბ უჩუმბეგაშვილი განმარტავს, ქვეყანაში მოთხოვნა უფრო მეტად დანაწევრებულ პროდუქციაზე გაიზარდა, შესაბამისად, ზოგიერთმა წარმოებამ მთლიანი ქათმის ექსპორტზე გატანა ამჯობინა.

„წარმოებები მაინცდამაინც არ გაზრდილა, უბრალოდ, რაღაც პერიოდის განმავლობაში მთლიანი ქათმის მოხმარება შემცირდა და ძირითადად აქცენტი გაკეთდა დანაწევრებულზე. ადრე თუ იყიდებოდა მთლიანი ქათმები, ახლა მეტი მოთხოვნაა ცალკე ბარკალზე, ფილეზე, ფრთაზე და ა.შ. ამის გამო მთლიანი ქათმის ხორცზე ფასი ძალიან შემცირდა. თვითღირებულებაზე იაფიც კი იყო. შესაბამისად, გარკვეულმა წარმოებებმა, ვინც ვერ შეძლეს დანაწევრებული პროდუქციით მოთხოვნის უზრუნველყოფა, მთლიანი ქათამი ექსპორტზე გაიტანეს. როგორც ჩანს, მეზობელ ქვეყნებში განსხვავებული ვითარებაა“,- ამბობს ზურაბ უჩუმბეგაშვილი.